

„სახალხო ბანკი“ აქციათა საკონტროლო წილის გაყიდვის შესახებ აცხადებს

დღეს „სახალხო ბანკმა“ აქციათა საკონტროლო წილის გაყიდვის შესახებ განაცხადა. ბანკის აქციათა 91.218% „Liberty Investments Holding B.V.”-ის (შემდგომში „Liberty”) შეიღობილმა კომპანიამ „Liberty Capital LLC” შეიძინა.

„Liberty” ახლად დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა, რომლის ძირითადი მიზანი მზარდ ბაზრებზე ფინანსურ სექტორში ინვესტიციების განხორციელებაა. „Liberty”-ის ბენეფიციარი მფლობელები დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე არიან. „Liberty” ინვესტიციებს განხორციელებს ისეთ ქვეყნებში, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, დაბალი გადასახადები, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები. „სახალხო ბანკის” აქციათა საკონტროლო პაკეტის შესყიდვა, დაფუძნების შემდეგ, „Liberty”-ის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. გარდა ამისა, „Liberty” რუმინული საბროკერო კომპანიის „Fairwind Securities” აქციათა 60%-ის შესყიდვის პროცესშია.

დღესდღეობით მსოფლიო ბანკის „Doing Business” ანგარიშის თანახმად საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის მე-11 ადგილზეა (საქართველოს მზარდ ეკონომიკებს (emerging markets) შორის ამ ანგარიშში ყველაზე მაღალი ადგილი უკავია), ხოლო „Forbes”-ის საგადასახადო წინხისა და რეფორმების რეიტინგში მეოთხე ადგილზეა. 2004-2008 წლებში საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები 600 მილიონი აშშ დოლარიდან 5.4 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ამ გარიგებაზე საუბრისას, „Liberty”-ის გენერალურმა დირექტორმა და „სახალხო ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს მომავალმა აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ** აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ „Liberty”-მ პირველი ინვესტიცია განხორციელა. ჩვენი ბიზნესი მოდელი გულისხმობს ისეთ მზარდ ბაზრებზე მოქმედ ბანკებში ინვესტიციების განხორციელებას, სადაც ეკონომიკური პირობები და რეფორმების ტენდენციები საქართველოს და სხვა წარმატებული, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსია. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პირველი ინვესტიცია სწორედ საქართველოში განხორციელდა. „სახალხო ბანკს” განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ყოვლისმომცველი ფილიალების ქსელისა და საპენსიო მომსახურების ხარჯზე. კარგად კაპიტალიზირებული, კომპეტენტური ინვესტორის მართვის ქვეშ ბანკი შესაძლოა ქართული ბანკების პირველ ხუთეულში მოხვდეს. მომდევნო თვეების განმავლობაში ჩვენი პრიორიტეტი „სახალხო ბანკის” რესტრუქტურის დაწესება იქნება. ვაპირებთ დამატებით საკუთარი კაპიტალის ინვესტირებას. გარდა ამისა, არ ვაპირებთ ბანკის აქციების საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგიდან ამოღებას და შესაძლებელია თავისუფალ მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა 20%-25%-მდეც გაეზარდოს. მოხარული ვიქნებით, თუ ბანკის განვითარების პროცესში გამოცდილი ინვესტორები შემოგვიერთდებიან“.

„Liberty”-ის თავმჯდომარემ **დინუ პატრიჩიუმ** განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ ამ ახალ პროექტზე ლადო გურგენიძესთან ერთად ვიმუშავებ. მომდევნო წლების განმავლობაში ვაპირებთ „Liberty”-სთვის დამატებითი კაპიტალის მოზიდვას და წელიწადში ერთი ან ორი ინვესტიციის განხორციელებას. ჩვენი საინვესტიციო ფილოსოფია მარტივია – ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც ეკონომიკური რეფორმები ხორციელდება ფინანსური მომსახურების კომპანიები გაუმჯობესებული ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოში ყველაზე ადრე ნახულობენ სარგებელს. მეც და ლადოსაც საჯარო კომპანიების მართვის წარმატებული გამოცდილება გვაქვს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ „Liberty”-ის პირველადი საჯარო შეთავაზება მსოფლიოს რომელიმე ძირითად საფონდო ბირჟაზე განხორციელდება იქნება“.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, **გიორგი ქადაგიძემ** აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ „სახალხო ბანკს” გამოუჩნდნენ გამოცდილი ინვესტორები, რომლებიც ბანკის კაპიტალიზაციის მატარებლების გაუმჯობესებას და მისი მოდერნიზაციის განხორციელებას შეძლებენ. ეს გარიგება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს საბანკო სექტორი უცხოელი ინვესტორებისთვის კვლავაც მიმზიდველია“.

„სახალხო ბანკის” შესახებ

„სახალხო ბანკი” (GSE: AMB) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 3.4% შეადგინა. „სახალხო ბანკს” ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი 1.5 მილიონ ფიზიკურ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ტელ: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge

დინუ პატრიიუს შესახებ

დინუ პატრიიუს განათლებით არქიტექტორია, რომელმაც შემდეგ ბიზნეს საქმიანობა დაიწყო. ბოლო ოცი წლის განმავლობაში დინუ პატრიიუს რეგიონული ბიზნესისა და რუმინეთის პოლიტიკის აქტიური მონაწილეა. იგი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და კლასიკური ლიბერალური ღირებულებების დამცველია რუმინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

1990-1998 წლებში დინუ პატრიიუს კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ პირველად შექმნილი კერძო კომპანიის „ALPHA Construction and Real Estate Investment SA“-ის პრეზიდენტი იყო.

1998 წელს იგი ხელმძღვანელობდა რუმინული კომპანიის „Rompertrol SA“-ის ინვესტირების მიერ გამოსყიდვას; იგი გახდა ახლად დაფუძნებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო 2001 წლიდან მისი გენერალური დირექტორი. „Rompertrol“ დინუ პატრიიუს ხელმძღვანელობით სტრატეგიული შესყიდვებისა და ორგანული ზრდის გზით არსებული სახელმწიფო ნავთობკომპანიიდან გადაიქცა ერთ-ერთ კომპანიად ევროკავშირის 25 უმსხვილეს ნავთობკომპანიას შორის მან 1998 წელს სრულად შეისყიდა „Rompertrol“, მაშინ, როდესაც ეს კომპანია ზარალის მომტანი აქტივი იყო, ხოლო მსოფლიო ბანკი მის გაყიდვას შეუძლებლად მიიჩნევდა. რუმინეთში განხორციელებული რამდენიმე შესყიდვის შემდეგ „Rompertrol“-მა გაფართოება დაიწყო ბალკანეთის რეგიონში, უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში. 2005 წელს „Rompertrol“-მა შეისყიდა საფრანგეთის უმსხვილესი ნავთობის დისტრიბუტორი კომპანია „Dyneff Group SA“. 2007 წლის აგვისტოში დინუ პატრიიუს „Rompertrol“-ის სააქციო კაპიტალის 75% ყაზახურ კომპანიას „ყაზმუნაიგაზს“ მიჰყიდა. 2009 წლის ივნისში დინუ პატრიიუს „Rompertrol“-ის სააქციო კაპიტალის დარჩენილი წილის 25%-იც გაყიდა, თუმცა „Rompertrol Group“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დარჩა.

გასული ერთი წლის განმავლობაში ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებდა ევროპის კომერციული უძრავი ქონების სექტორში. მან შეისყიდა ლონდონის საფონდო ბირჟის ალტერნატიული ინვესტიციების ბაზრის ლისტინგში მყოფი „Fabian Romania Limited“, რომელიც რუმინეთში 138 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის აქტივებს ფლობს; დინუ პატრიიუს აგრეთვე შეისყიდა ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფი კომპანიის „Rutely European Property Limited“-ის სააქციო კაპიტალის 73.6%. დინუ პატრიიუს ასევე არის მედია ჯგუფის „Adevarul Holding“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და დინუ პატრიიუს ფონდის პრეზიდენტი. აღნიშნული ფონდი გამოყოფს სასწავლო სტიპენდიებს იმედი მომცემი რუმინელი სტუდენტებისთვის. ჟურნალის „Forbes“ მონაცემების მიხედვით დინუ პატრიიუს რუმინეთის უმდიდრესი მოქალაქეა, ხოლო მსოფლიოში სიმდიდრის მიხედვით 397-ე ადგილზეა და მის მფლობელობაში არსებული აქტივების ღირებულება 1.8 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება.

ლადო გურგენიძის შესახებ

ლადო გურგენიძე დიდი გამოცდილების მქონე ბანკირია. ათი წლის განმავლობაში იგი აღმოსავლეთ ევროპასა და ლონდონში რამდენიმე საინვესტიციო ბანკში მოღვაწეობდა. 2004 წელს ლადო საქართველოში დაბრუნდა და გენერალური დირექტორის თანამდებობაზე „საქართველოს ბანკის“ რესტრუქტურის ზაცის ჩაუდგა სათავეში. ლადოს სამწლიანი მოღვაწეობის მანძილზე „საქართველოს ბანკის“ აქტივები 760%-ით, ხოლო წმინდა მოგება 1,563%-ით გაიზარდა. ასევე, ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით არსებული 18%-დან 34%-ს მიაღწია. „საქართველოს ბანკი“ გახდა წამყვანი უნივერსალური ბანკი საქართველოსა და რეგიონში, მისმა საბაზრო კაპიტალიზაციამ ლადოს „საქართველოს ბანკიდან“ წასვლის დროისთვის 900 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მაშინ, როდესაც მისი „საქართველოს ბანკში“ მისვლის დროისთვის საბაზრო კაპიტალიზაცია 25 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა).

2007-2008 წლებში ლადო საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან განაგრძო საქართველოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.